INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.matsne.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 21 ნოემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

www.matsne.gov.ge

## გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები

2011 წლის 21 ნოემბერს პროექტ - "საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგის" ფარგლებში IDFI-ს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაგეგმილი იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებ- გვერდის (www.matsne.gov.ge) ინფორმაციული გამჭვირვალობის მონიტორინგის განხორციელება.

აღმოჩნდა, რომ ხსენებული ვებ-გვერდის ინფორმაციული შიგთავსი არ ექვემდებარება ინფორმაციული გამჭირვალობის ხარისხის შეფასებას, რადგანაც ის წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ საძიებო სისტემის ტიპის ვებ-გვერდს, სადაც წარმოდგენილია საქართველოს ყველა უწყების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ბაზა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ IDFI-იმ პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge“ ფარგლებში აღნიშნული საჯარო დაწესებულებიდან საკმაოდ დიდი მოცულობის საჯარო ინფორმაცია მიიღო რაც ერთის მხრივ ხაზს უსვამს საკანონმდებლო მაცნის, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოში არსებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის არსებობას, ასევე ამ ინფორმაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსების მნიშვნელობასაც.

*შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:*




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66.67%
2. ძიება
60.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
62.50%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
53.33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
89.47%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14.29%
9. ელექტრონული ჩართულობა
16.67%
10. ელექტრონული სერვისები
16.67%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
66.67%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
58.33%
0
0.2
0.4
0.6
0.8
1

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდზე წარმოდგენილია მომხმარებელთა სტატისტიკური მონაცემები:




თუმცა გაუგებარია ეს რიცხვი რეგისტრირებულ მომხმარებლებს გულისხმობს, თუ ხაზზე მყოფ მომხმარებლებთა რიცხვს;

განსხვავებულ ბრაუზერებში, ფონტი წარმოდგენილია სხვადასხვა ზომით (იხილეთ შემდეგი ბმული: http://matsne.gov.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19&Itemid=12) რის გამოც, მაგ. ბრაუზერ opera-ში, ინფორმაციული ტექსტი ჩანს არასწორი ფორმატით:



## ➢ საკონტაქტო ფორმები და წესები

ვებ-გვერდის საკონტაქტო გვერდზე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული საჯარო დაწესებულების საკონტაქტო ელექტრონული ფოსტაც:




## ➢ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ვებ-გვერდზე დაშვებულია მცირე სტრუქტურული ხარვეზები, მაგალითად ბლოკი არ უნდა ფარავდეს ბანერებს:



ნავიგაციის პროგრამული კოდი არასწორი სტილით არის დაწერილი, რის გამოც საძიებო სისტემებს ამ მოდულით ინფორმაციის ინდექსაცია გაუჭირდებათ:




## ➢ ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან

ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან ვებ-გვერდს სამწუხაროდ არ გააჩნია;

## ➢ ონლაინ სერვისები

აუცილებლად დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვებ-გვერდს აქვს ელექტრონული გადახდების სერვისი:



ონლაინ მომსახურება ძალიან მნიშვნელოვანია ვებ-გვერდის მომხმარებლებისთვის. მსგავსი მოდულის არსებობა ქართულ ინტერნეტ სივრცეში არც თუ ისე ხშირია;

ელექტრონული ფოსტის საშუალებით გვერდის გაზიარების ფუნქცია არ ფუნქციონირებს:




- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდს მიმაგრებული აქვს მიმანიშნებელი ფაილი robots.txt, რომელიც საძიებო სისტემებისთვის გამოიყენება, თუმცა მასში მოხვედრილია ისეთი ინფორმაცია, რომელიც პროგრამისტს გამოადგება კიბერ შეტევის განსახორციელებლად, შესაბამისად მსგავსი ინფორმაცია უნდა დაიბლოკოს აღნიშნულ ფაილში:

```
User-agent: *
Disallow: /administrator/
Disallow: /cache/
Disallow: /components/
Disallow: /images/
Disallow: /includes/
Disallow: /installation/
Disallow: /language/
Disallow: /libraries/
Disallow: /media/
Disallow: /modules/
Disallow: /plugins/
Disallow: /templates/
Disallow: /tmp/
Disallow: /xmlrpc/
Disallow: /new/
```




## ➢ დამატებითი პარამეტრები

ვებ-გვერდის დიზაინის ფერები და ტექსტის ფერები ზოგიერთ კატეგორიაში არ შეესაბამება ერთმანეთს:

